ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №2973191

ნომერი: AR1452423

თარიღი : 15.11.2016

გაცემის თარიღი : 01.12.2016

გაცნობის თარიღი : 01.12.2016

შედეგი : განუხილველი.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , სოფელი დიღომი ;

დამკვეთი-განმცხადებელი
- დავით ჯაში პ/ნ 01024028193
- ალ. ყაზბეგის 25ა

ორგანიზაცია:
- ბეთერ ფლაი კოდი: 205265979

ნომენკლატურა :

- ავტოსამრეცხაო
- II კლასი
- ახალი მშენებლობა
- სტადიები:
  - პროექტის შეთანხმება
  - მშენებლობის ნებართვა

.მიწის ნაკვეთის გამოყენების პირობების (გაპი) რეკვიზიტები.:

- .დადგენილი გაპის ბრძანების ნომერი.: 2893357
- .დადგენილი გაპის ბრძანების თარიღი.: 17.10.2016

.სატიტულო ინფორმაცია.:

- .ფუნქციური დანიშნულების სახეობა.: ავტო სამრეცხაო/ვულკანიზაცია
- .მთავარი არქიტექტორის/სპეციალისტი სახელი და გვარი.: დაჩი პაპუაშვილი

.დამკვეთის ინფორმაცია.:

- .ორგანიზაცია (არსებობის შემთხვევაში).: შპს "ბეთერ ფლაი"
- .საიდენტიფიკაციო კოდი.: 205265979
- .დამკვეთ(ებ)ის სახელი და გვარი.: დავით ჯაში
- .დამკვეთ(ებ)ის პირადი ნომერი.: 01024028193

.ტექნიკურ - ეკონომიკური მაჩვენებლები (მეათედების სიზუსტით).:

- .მიწის ნაკვეთის ფართობი (კვ.მ).: 400.0
- .განაშენიანების ფართობი (კვ.მ).: 100.0
- .საერთო ფართობი (კვ.მ).: 100.0
- .საწარმოო ფართობი (კვ.მ).: 100.0
- .სამშენებლო მოცულობა (კუბ.მ).: 380.0
- .0.00 ნიშნულის ზევით (კუბ.მ).: 380.0
- .შენობა-ნაგებობის კონსტრუქციული სიმაღლე (მ).: 5.6
- .0.00 ნიშნულის ზევით (მ).: 5.0
- .0.00 ნიშნულის ქვევით (მ).: 0.6
- .კ1 განაშენიანების კოეფიციენტის საანგარიშო ფართობი (კვ.მ და ასახული კოეფიციენტში). : 100/400=0.3
- .კ2 განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტის საანგარიშო ფართობი (კვ.მ და ასახული კოეფიციენტში). : 100/400=0.3
- .კ3 გამწვანების კოეფიციენტის საანგარიშო ფართობი (კვ.მ და ასახული კოეფიციენტში). : 46.2/400=0.1

"საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" მე-5, 51-ე, 52-ე, 83-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, "მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების თანახმად

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურში განხილულ იქნა თქვენ მიერ ელექტრონულად ატვირთული დოკუმენტაცია, რომლის პასუხადაც გაცნობებთ შემდეგს:

სამსახურის უფლებამოსილებაში შედის ფუნქციური ელემენტების განვითარების პროცესის მოდელირება, ურბანული ქსოვილის ცალკეული მახასიათებლების ანალიზი, საპროექტო ვარიანტების და მიღებული გადაწყვეტილებების შეფასება. სამსახურს თავის ფუნქციების შეუფერხებელი განხორციელების მიზნით უფლება აქვს განიხილოს შენობა–ნაგებობის ექსტერიერებისა და ინტერიერების პროექტები, მოახდინოს ფერთა შეთანხმება და გამომდინარე აქედან, ვინაიდან აღნიშნული ობიექტი განთავსებულია ქალაქის გეგმარებით კარკასზე, სადაც განსაკუთრებული ყურადღება ექცევა შენობა–ნაგებობებს და მათზე განთავსებულ კონკრეტული დეტალების ვიზუალურ მხარეს, მოგახსენებთ, რომ არქიტექტურის სამსახურს შესაძლებლად არ მიაჩნია თქვენს მიერ ატვირთული პროექტის მიხედვით ობიექტის შემდგომი განვითარება. ავტოსამრეცხაოს მოწყობა ქალაქგეგმაგერით კარკასზე, მთავარი ქუჩის მხარეს დაუშვებელია (იხ. ქ. თბილისის მთავრობის 2001 წლის 24 იანვრის # 01.14.11 დადგენილება ქ. თბილისის ცენტრალურ მაგისტრალებზე განთავსებული ავტოსამრეცხაოების არქიტექტურულად მოწესრიგების ღონისძიების შესახებ – აღნიშნულის გათვალისწინებით დაუშვებელია ავტოსამრეცხაოს ფუნქციონირება ,ანუ ძირითადი ფასადის ორიენტაცია ცენტრალური მაგისტრალის, ქუჩების მხარეს ტროტუარებზე და სავალი ნაწილის სიახლოვეს).

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, იმისათვის რომ სამსახურმა იმსჯელოს აღნიშნულ მიწის ნაკვეთზე ავტოსამრეცხაოს განთავსების თაობაზე, საჭიროა შემუშავდეს ისეთი არქიტექტურული გადაწყვეტა, რომლის მიხედვითაც აღნიშნული ობიექტის ფუნქციონირება ქუჩიდან არ იქნება აღქმადი.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ვინაიდან სამსახური ვერ მსჯელობს საკითხზე წინამდებარე AR1452423 განცხადება დარჩება განუხილველი.

• დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე#4.

• გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.